მანანა წერეთელი

ტ ე ს ტ ე ბ ი
ქართულ ენასა და ლიტერატურაში

II ნაწილი

მხატვრული ტექსტის გააზრება
წერითი დავალება
ტექსტის რედაქტირება
ერთიანი ეროვნული გამოცდები 2024-2025

დიოგენე
ფასილიტატორი

მანანა წერეთელი
ტესტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში
II ნაწილი

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2024, I გამოცემა
ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-11-881-4

გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, აფაქიძის ქ. 9, ტელეფონი 221 33 21
ელფოსტა adm@diogene.ge
www.diogene.ge

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება 7

ტექსტი I. ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „სიყვარულის ცეცხლი“ 7

ტექსტი II. ზაირა არსენიშვილის მოთხრობა „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევი“ 13

ტექსტი III. ნაწყვეტი იაკობ ხუცესის თხზულებიდან „შუშანიკის წამება“ 16

ტექსტი IV. მარიამ წიკლაურის მინიატურა „მესაზღვრე“ 19

ტექსტი V. ნაწყვეტი ნიკო ლომოურის მოთხრობიდან „წუთისოფელი“ 22

ტექსტი VI. ნაწყვეტი გიორგი მერჩულეს თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 27

ტექსტი VII. გოდერძი ჩოხელის მოთხრობა „მოხევის სადღეგრძელო“ 30

ტექსტი VIII. ნაწყვეტი ნოდარ დუმბაძის მოთხრობიდან „ნუ გააღვიძებ“ 35

ტექსტი IX. ნაწყვეტი შოთა რუსთაველის პოემიდან „ვეფხისტყაოსანი“ 40

ტექსტი X. ნაწყვეტი ლევან გოთუას მოთხრობიდან „კრწანისის სევდა“ 43

ტექსტი XI. მარიამ წიკლაურის მოთხრობა „ყვავებთან მოლაპარაკე დედაბერი“ 50

ტექსტი XII. სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „ძუნწი ვაჭარი“ 54

ტექსტი XIII. ნაწყვეტი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობიდან „უპატრონო“ 57

ტექსტი XIV. ნაწყვეტი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „თავსაფრიანი დედაკაცი“ 65

ტექსტი XV. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „სულო ბოროტო“ 69

ტექსტი XVI. ნაწყვეტი ჭაბუა ამირეჯიბის რომანიდან „დათა თუთაშხია“ 72

ტექსტი XVII. ნაწყვეტი ეგნატე ნინოშვილის მოთხრობიდან „ქრისტინე“ 79

ტექსტი XVIII. ვაჟა-ფშაველას ლექსი „რამ შემქმნა ადამიანად?“ 84

ტექსტი XIX. ნაწყვეტი ოტია იოსელიანის რომანიდან „ქალი გამოვიდა საღალატოდ“ 87

ტექსტი XX. შოთა ნიშნიანიძის ლექსი „თევდორე“ 92

ტექსტი XXI. ნაწყვეტი ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობიდან „ხევისბერი გოჩა“ 96

ტექსტი XXII. ნაწყვეტი ზაირა არსენიშვილის მოთხრობიდან „ქარი, ამწევი ფარდის“ 99

ტექსტი XXIII. ნაწყვეტი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „ანტონიო და დავითი“ 103

ტექსტი XXIV. ნაწყვეტი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ 110

ტექსტი XXV. გიორგი ლეონიძის ლექსი „ოლე“ 115

ტექსტის რედაქტირება 119

შეფასების სქემა და კრიტერიუმები 136

წაკითხულის გააზრება (10 ქულა) 157

წინასიტყვაობა

წინამდებარე ტესტების კრებული შედგენილია ერთიანი ეროვნული გამოცდების მოთხოვნათა შესაბამისად და განკუთვნილია როგორც აბიტურიენტების, ისე მოსწავლეებისთვისაც. მასში ასახულია ყველა ის ცვლილება, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს.

კრებულში შესულია საპროგრამო და არასაპროგრამო ტექსტების წერითი დავალებები (თხზულებები), ამ ტექსტების წაკითხულის გააზრებები ოთხი სავარაუდო პასუხით, ტექსტის რედაქტირებები, მოცემულია, აგრეთვე, შეფასების სქემა და კრიტერიუმები.

გასააანალიზებელი ნაწარმოებები მოიცავს იმ საკითხებს, რომლებიც თანამედროვეობის უმთავრეს პრობლემებად მიიჩნევა და მოითხოვს გულდასმით დამუშავებასა და სათანადო ყურადღებას.

ჩვენი მიზანია, დავალების პირობით განსაზღვრული კონკრეტული პრობლემის მიხედვით აბიტურიენტებმა და მოსწავლეებმა შეძლონ ტექსტის ანალიზი და ამ პრობლემის აქტუალურობაზე მსჯელობა.

წაკითხულის გააზრების შესრულებისას ჯერ ყურადღებით უნდა წაიკითხოთ მოცემული ტექსტი, რათა გაიაზროთ მისი მთავარი სათქმელი და ავტორის მიზანდასახულობა, შემდეგ კი გაეცნოთ შეკითხვებსა და ასარჩევ პასუხებს. ტექსტების ანალიზისას აუცილებელია მათში წამოჭრილი პრობლემატიკის გამოკვეთა და საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, ასევე ამ საკითხებზე არგუმენტირებული მსჯელობა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეძლებთ როგორც საპროგრამო, ისე არასაპროგრამო ტექსტების სწორად გააზრებასა და სიღრმისეულ ანალიზს. აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ ტექსტის ანალიზის ნაცვლად მისი შინაარსის გადმოცემა, თუნდაც სრულიად უშეცდომოდ, დადებით შეფასებას ვერ დაიმსახურებს.

გაითვალისწინეთ, რომ კრებულის ბოლოს, ტექსტების რედაქტირების დავალებების ბლოკში, თქვენი მუშაობის დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არ არის მოცემული გასწორებული ვარიანტრები, მხოლოდ ხაზგასმულია შეცდომები, რომლებიც თავად უნდა შეასწოროთ.

კრებულში განთავსებულ ყველა მასალასთან დაკავშირებით შეგიძლიათ დასვათ კითხვა და მიიღოთ განმარტება.

ვიმედოვნებთ, რომ ეს რესურსი დაგეხმარებათ, უკეთ მოემზადოთ ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის.

გისურვებთ წარმატებას!

წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება

ყურადღებით გაეცანით ტექსტს. კითხვებზე პასუხების გაცემა მაშინ დაიწყეთ, როდესაც ტექსტის შინაარსი მთლიანად გასაგები იქნება. მოცემული ოთხ-ოთხი პასუხიდან აირჩიეთ მხოლოდ ერთი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა – X.

ტექსტი I

წაიკითხეთ ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „სიყვარულის ცეცხლი“:

სება სახელია, ამ შემთხვევაში ცისა და მიწის ანაბარა დარჩენილი, ოთხმოც წელს მიღწეული კაცის სახელი. ცისა და მიწის გარდა, კიდევ ერთი მარჩენალი ძროხა ჰყავს სებას იმედად.

ძროხას მთორია ჰქვია. შუბლზე თეთრი მთვარე აქვს გამოსახული. ფერით წითელია. რაკი აქაურები მთვარეს მთორეს ეძახიან, იმიტომ შეარქვა სებამ მთორია... სება და მთორია ერთ ოთახში ცხოვრობენ. ძროხაა მოხუცის სიმარტოვის დამაფრთხობელი. აქაურ სოფლებს სოფლები ჰქვია, თორემ ამ თოვლით გადაპენტილ ხეობაში, იმის მიხედვით, თუ რამდენი სახლის საკვამურიდან ამოდის ბოლი, კარგად მიხვდები, რომელ სოფელში რამდენი კომლი ცხოვრობს. სებას სოფელში მხოლოდ სება და მთორია ცხოვრობენ. მთორია მაკედ არის. ამიტომაცაა სება მის მიმართ ზედმეტად მზრუნველი. სადღაც, ძველ კიდობანში, თავისი ახალგაზრდობის დროინდელი რუსული შინელი იპოვა და ძროხას ჩააცვა, რომ არ გაუცივდეს. არც იმდენი შეშა აქვს, ოთახი ნორმალურად გაათბოს ღამ-ღამობით, როცა იანვრის ქარი ისე ზუზუნებს, მოხუცის სულს რაღაც შორეულ ელდასა ჰგვრის, მთელ მის წარსულში ფორიაქობს და ამსოფლიური ამაოების შეგრძნებას უძლიერებს.

ამაოდ გამქრალა ოთხმოცი წელიწადი და ეს იცის იანვრის ქარმა. ზუზუნებს მოხუცის სულში და მოხუცის უიღბლოდ ჩაფერფლილ სიყვარულში...

გმინავს მოხუცი და გმინავს მთორია. ხბოს აჩენს. ეს მისთვის პირველი მშობიარობაა. დაიხრჩო, ვერ გადაარჩინა სებამ ხბო. ძროხამ არ იცის, რა ხდება. მას დედური ინსტინქტი უბიძგებს შვილისაკენ, რომელსაც სება რატომღაც არიდებს, ახლოს არ აკარებს, რომ ძუძუ მოაწოვოს და უფრო მეტი, ამ სიცივეში მისი შვილი გარეთ გაჰყავს და სადღაც მალავს, უკან მარტოკა ბრუნდება. ძროხა ზმუის, გარეთ გასავარდნად იწევს, მაგრამ ყელზე გამობმული საბელი არ უშვებს.

გაზაფხულია! ერთ-ერთი მთის ფერდობზე ბებრის დაძონძილ საფარტნესავით გასაცოდავებულ სოფლის ბილიკს კაცი და ძროხა მიუყვება... სება შეძლებისდაგვარად კოხტად არის ჩაცმულ-დახურული. მთელი ზამთრის გაბურდული წვერიც გაპარსული აქვს. როგორც ჩანს, მასაც უხარია გაზაფხული. მასაც ვიღაცისაკენ მიუწევს გული.

და ის ვიღაც იმ სოფელში ცხოვრობს, სადაც ახლა სება და მთორია მიდიან.

ძროხას ისევ შინელი აცვია და შორიდან მნახველს ეგონება, თითქოს ვიღაც თავზეხელაღებულ ოთხმოცი წლის მთიელს რუსის შინელში გამოწყობილი ჯარისკაცი დაუჭერია... ეს ძროხაა მაგის შემნახავი, მაგის სიმარტოვის დამფრთხობი, მითუმეტეს მაშინ, როცა ზამთრობით იანვრის ცივი ქარი ზუზუნებს და ბნელ ღამეებში აკრთობს, აელდებს, აშინებს, როგორც იქვე, სახლის შორიახლო აყმუვლებული მგელი.

იქნებ მგელი არ არის და სიკვდილი ყმუის?

ვინ გაუფრთხობს მაშინ ამ შიშს, თუ არა ეს ძროხა. ის ხომ მისი დედაც არის თითქოს. მისი ცხელი რძით ითბობს სიბერისაგან გამომშრალ სხეულს... ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, თანდათანობით აკლდებათ სითბო: მშობლების სითბო, შვილების სითბო, შეყვარებულის სითბო, მეგობრებისა და ახლობელი ადამიანების სითბო და რაც მთავარია, იმედის სითბო. ადამიანს დაბადებიდან სულ თან დაჰყვება იმედის სითბო, ფიქრობს, რომ ერთხელაც იქნება... მაგრამ რაკი ის რაღაც ამ ქვეყანაზე თურმე არ ხდება, ნელ-ნელა, რაც წლები გადის, თანდათან ქრება იმედის სითბო და მართალია, სიკვდილამდე მაინც ღვივის მისი ნაპერწკლები ადამიანის სულში, მაინც საზარელია სიმარტოვის ჟამს საიდანღაც მონაქროლი ამაოების ქარი...

ეს შინელი, ახლა მთორიას რომ აცვია, რა თქმა უნდა, მასაც ახსენებს იმ დროს, როცა მისი თანამებრძოლები, გაზაფხულის სუნით აღგზნებულნი, სანგრებში ისხდნენ და შეყვარებულებს საალერსო წერილებს წერდნენ. სებამაც რამდენჯერმე მოსწერა ასეთი წერილი სალომეს, რომელიც ახლა იმ სოფელში ცხოვრობს, სადაც მთორია მიჰყავს. ამბობენ, რომ არსებობს უიღბლო სიყვარული. თუ სებას და სალომეს სიყვარული შეუღლებით დაგვირგვინდებოდა, მაშინ ეს იქნებოდა ჭეშმარიტად იღბლიანი სიყვარული, რადგან ორივეს თავდავიწყებით უყვარდათ ერთმანეთი და სიყვარულის იღბლიანობა კი იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ ამ სიყვარულის შედეგი, სიყვარულით მოვლენილი შვილებია, რაც სალომეს და სებას ცხოვრებაში არ მოხდა.

სიყვარულთან ერთად, თუ სიყვარულის გარდა, ამ ქვეყანაზე არსებობს ბედისწერა, რომელიც ყველაფერს თუ არა, თითქმის ყველაფერს განაგებს ადამიანის ამქვეყნიურ შარაგზაზე, ზოგისთვის რომ მართლაც შარაგზა არის და ზოგისთვის კი მიხვეულ-მოხვეული, ეკლიანი ბილიკია. სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხვეულ-მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ, იმიტომ რომ ის სიყვარულია!

სალაღოს ფერდობზე, თხილიანში ჰქონდათ შეხვედრა სებას და სალომეს... გაუბედავად შეხედეს ერთურთს და სალომეს თვალებიდან რაღაც ისეთი ცეცხლი შემოეგზნო სებას, უცებ რაც არ უფიქრია, ის გააკეთა – ხელები შემოხვია მხრებზე, ტუჩებზე დაეკონა და თანდათან ისე დაკარგა გრძნობა, საკინძე შემოახია სალომეს. როგორც არაგვის ტალღიდან ამომხტარი კალმახები, ისე ამოხტნენ ქალის მკერდიდან ბროლის ძუძუები. სალომემ სასოწარკვეთილი ყვირილი მორთო. ამ ხმამ გამოაფხიზლა სება, ქალს ხელი უშვა და უკან დაიწია.

იქვე ეგდო სალომეს გუდა და შინდის ჯოხი, რომელიც ძაღლების მოსაგერიებლად წამოეღო. ჰაერში შხუოდა მუჟრიანი შინდის ჯოხი და სება იმასღა ახერხებდა, რომ სახეში არ მოხვედროდა. ჩაჩოქილი იყო, სახეს ხელებში მალავდა, გაქცევას არ ცდილობდა.

ძლივს დაწყნარდა სალომე.

სება ტკივილთან ერთად გრძნობდა, როგორ უსველდებოდა სისხლისაგან ზურგი.

ასე ისხდნენ შებინდებამდე. და თუ მართლა არსებობს უიღბლო სიყვარული, ეს შებინდება იყო მათი სიყვარულის უიღბლო შებინდება.

ისე კი, არც სალომე გათხოვილა და არც სებას მოუყვანია ცოლი. მართალია, შერიგდნენ კიდეც, წყენაც დაივიწყა სალომემ, მაგრამ სებას ცოლობაზე უარი უთხრა.

— არ შემიძლია იმ დღის დავიწყება. შენთან სიახლოვისას ყოველთვის გამახსენდება, როგორ გამეტებით გირტყამდი შინდის ჯოხს, როგორ მალავდი სახეს, რომ არ დამემახინჯებინე და როგორ მოგდიოდა ზურგიდან სისხლი. მე აღთქმა მივეც ღმერთს, რომ შენს სიყვარულს სხვას არ გავუფენ და არც იმაზე დაგძრახავ, ცოლს თუ მოიყვან...

მერე? მერე ეს ხეობა ხალხისაგან დაიცალა. რაკი არც სებას მოუყვანია ცოლი და არც სალომე გათხოვილა, სად უნდა წასულიყვნენ.

ჩამობერდნენ.

ხანდახან ნავთისთვის ან მარილისათვის მიაკითხავენ ერთმანეთს. სება თიბვაში და შეშის მოტანაში ეხმარება სალომეს. ბევრს არასოდეს საუბრობენ. ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკი აერთებს მაგათ სოფლებს. როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის. თანდათან ბელტდება და ვიწროვდება. მერე კი, სულაც ნაგზევი ხდება და ემატება იმ სიტყვებს, როგორიცაა: ნასოფლარი, ნასაყდრალი, ნასახლარი, ნაფუძარი, ნაცოლარი, და ვინ იცის, კიდევ რამდენი სიტყვა შეემატოს ამ სიტყვებს. ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა — სიყვარული!

სება კი თითქმის ნაგზევარზე მიდის და არ იცის, როგორ აუხსნას სალომეს, რა საქმისთვისაცაა სახლიდან წამოსული. სიყვარულის ასახსნელად კი არ მიდის, გაზაფხულია და მთორიას მოზვერი სჭირდება. სებას მოზვერი არა ჰყავს, სალომეს კი კაი ჯიშიანი ჭრელი მოზვერი ჰყავს. უნდა სებას, რომ ბერწი არ დატოვოს მთორია, დედობა გამოსცადოს.

მიდიან ბილიკზე და თანდათან უახლოვდებიან სალომეს სახლს.

— სალომე! — დაიძახა ჩუმად.

— ჰო, რომელი ხარ? — სახლის დერეფანზე გადმოდგა სალომე, — ამოდი, მანდ რას სდგეხარ, დერეფანში უფრო თბილა.

— ისეთ საქმეზე ვარ მოსული როო...

— ეგეთი რა საქმეა, რო მანდედან უნდა მთხოვო?..

— არ ვიცი, სალომე, როგორა გთხოვო, მაგრამ ხო იცი, გაზაფხულია და სუყველაფერს თავის დრო აქვს... ძალიან კი მრცხვენიან, მაგრამ მთორიას ცოდვას ნუ გამატან სამარეში. ვინ იცის, დღეს ამომივა სული, თუ ხვალე. შეიძლება შენც ვერ გაიგო ჩემი სიკვდილი... ეს ძროხა იცი, როგორი მუდარის თვალებით შემომყურებს. სულ ელოდება, რომ შვილს გამოვუჩენ. ახლა ეს გაზაფხული რომ დადგა, ვიფიქრე, წავალ, როგორმე სალომესთან თავს შევირცხვენ, თორემ ისევ უშვილოდ დარჩება ამ ზამთარს და რა ვიცი, სალომე, სიკვდილის სული დატრიალდა ჩემს გარშემო, გავაღწევღა ამ ზამთარს? ნუ მეტყვი უარს, ცოტა ხანს მათხოვე შენი მოზვერი.

— მოზვერი? — შეცბა სალომე, — წაიყვანე, მოზვერს როგორ დაგიჭერ.

— არა, წაყვანა არ მინდა, აქვე მყავს ძროხა...

სალომე გომურში შევიდა და ცოტა ხანში თავისი ჯიშიანი მოზვერი გამოიყვანა...

ჰაერში გაზაფხული ზეიმობდა.

საიდანღაც წითელი პეპელა მოფრინდა და ჯერ სებას დააჯდა მხარზე, მერე გადაფრინდა და სალომეს მხარზე დასკუპდა. მოხუცებს გაეღიმათ. თბილად, სიყვარულით შეხედეს ერთურთს თვალებში, ისეთი მონატრებით, როგორც დიდი ხნის წინათ უყურებდნენ ხოლმე...

პეპელა ისევ სებას მხარზე გადაფრინდა.

– კაცო, რა უნდა ამ პეპელას ჩვენგან, ჰა? – იკითხა სალომემ.

– ეტყობა, სულეთის პეპელაა. პირველად ჩემს მხარზე დაჯდა, იმიტომ რომ ჯერ მე დავიძინებ.

– შენ, რატომ?

– ჯერ ერთი იმიტომ, რომ შენზე უფროსი ვარ, მეორეც იმიტომ, რომ სულეთში მე უნდა შეგხვდე. გზაზე სულის გამკითხველებს ვთხოვ, ამ გზაზე სალომე რომ ჩამოივლის, ნურაფრისთვის დასჯით, ყველაფერში დამნაშავე მე ვარ და თუ რამე უნებლიე ცოდვა აქვს ჩადენილი, მე მომაწერეთ-მეთქი...

ზამთარია. ისევ თეთრად ქათქათებს მთელი ხეობა. სალომე თავისი სახლის ბანიდან გაჰყურებს სებას სოფელს და წუხს. მესამე დღეა სებას სახლის საკვამურიდან ბოლი არ ამოსულა. სალომემ თავის შინდის ჯოხს წამოავლო ხელი და გაუკვალავ თოვლში ბილიკს გაუყვა. ფრთხილობს სალომე. ყოველი ნაბიჯი მოზომილია. გააღწია სამშვიდობოს. მიადგა სებას სახლს.

– სება! სება! – დაიძახა შიშნარევი ხმით. არავინ შეეხმიანა. შიგნიდან ძროხის ბღავილი მოესმა. სალომემ კარი შეაღო. სიბნელეში მიმოიხედა. თვალი რომ შეაჩვია, დაინახა ფანჯრის პირზე, იქ, სადაც უფრო განათებული ადგილი იყო, გულაღმა იწვა სება. სახლის აქეთ კი, კუთხეში, ძროხამ შებღავლა. ძროხას ჭრელი ხბო გულიანად ბურჩნიდა ძუძუში. სალომე საწოლთან მივიდა და სებას დახედა.

სება ამ ქვეყანაზე აღარ იყო. რაღაცნაირი მშვიდი ღიმილი ეფინა სახეზე. თითქოს ამ ღიმილით სალომეს ეუბნებოდა: რაც გითხარი შევასრულე, სულეთის გზა მშვიდობით გავიარე, შეხვედრასაც დიდებულს მოგიწყობ, ოღონდ ძალიან ნუ იჩქარებ აქ წამოსვლას, ხო იცი, მთორიას შვილი ეყოლა და ახლა შენი თავი ძალიან სჭირდება მაგას...

ერთი დღე თხრიდა სალომე სებას საფლავს. მიწა მხვალი იყო თოვლის ქვეშ და ძალიან არ უჭირდა აყალო მიწის გათხრა. თავისი საიმქვეყნიო სასახლეც წინასწარ მოემზადებინა სებას და სახლის კუთხეში იყო აყუდებული. მოზვერი გადმოიყვანა სალომემ, მარხილში შეაბა და იმით მიასვენა სამარემდე სება...

მერე?

მერე თოვლში გაჭრილ ბილიკზე მიდიოდნენ ოთხნი. წინ მოზვერი, მერე მთორია, მერე ჭრელი ხბო – სიყვარულით შეერთებული სამი სულდგმული. იმათ უკან მისდევდა მეოთხე, შავებში ჩაცმული ქალი, სიყვარულდაკარგული და სიყვარულის მფარველი, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდებოდა წინმიმავალთ.

მიდიოდა წელში მოხრილი და თავის შინდის ჯოხს მიიბჯენდა თოვლში.

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. ტექსტის დასაწყისიდანვე რაზე მიანიშნებს ავტორი მკითხველს?

ა) რომ სოფელში სიცოცხლე ჩქეფს.
ბ) რომ სოფელში მხოლოდ რამდენიმე კომლია დარჩენილი.
გ) რომ სოფელი დაცარიელებულია.
დ) რომ სოფელში თოვლის მოსვლა ყველას უხარია.

(1) 2. რა მიზანი ამოძრავებს სებას, როცა თავისი „სიმარტოვის დამფრთხობი“ მთორია მიჰყავს სალომესთან?

ა) სალომეს სოფელში მთორიას ბალახი უნდა მოაძოვოს.
ბ) მთორია სალომეს უნდა აჩუქოს.
გ) მთორიას დაკვლა აქვს გადაწყვეტილი.
დ) მთორიას დედობა უნდა გამოაცდევინოს.

(1) 3. რა მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი ფრაზაში: „როგორც არაგვის ტალღიდან ამომხტარი კალმახები, ისე ამოხტნენ ქალის მკერდიდან ბროლის ძუძუები.“

ა) ფრაზეოლოგიზმს. ბ) შედარებას.
გ) ჰიპერბოლას. დ) მეტაფორას.

(1) 4. სალომესთან საუბრის დროს რას გულისხმობს სება ამ ფრაზით: „ეტყობა, სულეთის პეპელაა. პირველად ჩემს მხარზე დაჯდა, იმიტომ რომ ჯერ მე დავიძინებ.“

ა) ამ პეპელამ ამცნო მათ, რომ პირველად სალომე გარდაიცვლებოდა.
ბ) ამ პეპელამ ამცნო მათ, რომ ისინი კიდევ დიდხანს იცოცხლებდნენ.
გ) ამ პეპელამ ამცნო მათ, რომ პირველად სება გარდაიცვლებოდა.
დ) ამ პეპელამ ამცნო მათ, რომ ისინი ერთად გარდაიცვლებოდნენ.

(1) 5. მოხუცი სებას ხასიათის რომელი ნიშან-თვისებებია ხაზგასმული ტექსტში?

ა) მზრუნველი და ერთგულია.
ბ) უდარდელი და უპასუხისმგებლოა.
გ) პრინციპული და შეუპოვარია.
დ) მიზანდასახული და თავდაუზოგავია.

(1) 6. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებას?

ა) „მოზვერი გადმოიყვანა სალომემ, მარხილში შეაბა და იმით მიასვენა სამარემდე სება“.
ბ) „როცა გზაზე ადამიანები ხშირად აღარ დადიან, გზამაც მოწყენა იცის“.
გ) „სალაღოს ფერდობზე, თხილიანში ჰქონდათ შეხვედრა სებას და სალომეს“.
დ) „სალომე თავისი სახლის ბანიდან გაჰყურებს სებას სოფელს“.

(1) 7. რას ნიშნავს სიტყვა „ზენაარი“ ამ კონტექსტში: „ვინ გაიგებს, როგორ ქარს წამოუბერავს ზენაარი დედამიწაზე, თუ ადამიანები საერთოდ დაივიწყებენ ისეთ სიტყვას, როგორიცაა – სიყვარული!“?

ა) ზეცა. ბ) ანგელოზი. გ) ღრუბელი. დ) ღმერთი.

(1) 8. ტექსტის ბოლოს მოხუცის რომელ თვისებაზე მიუთითებს ავტორი ფრაზით: „თავისი საიმქვეყნიო სასახლეც წინასწარ მოემზადებინა სებას“?

ა) გულმოწყალებაზე. ბ) მოხერხებულობაზე.
გ) წინდახედულობაზე. დ) სიმტკიცეზე.

(1) 9. რატომ უნდა სებას სალომეზე ადრე წასვლა ამქვეყნიდან?

ა) გარდაცვალების შემდეგ დამმარხველი ჰყავდეს.
ბ) საყვარელ ქალს იმქვეყნიური სავალი გაუადვილოს.
გ) მთორიას და მის ხბოს პატრონი ჰყავდეს.
დ) სალომემ მისი გარდაცვალების შემდეგ მის სულზე იზრუნოს.

(1) 10. ყველაზე ზუსტად რომელი ფრაზა გამოხატავს ამ ტექსტის მთავარ სათქმელს?

ა) „სიყვარულით შეხედეს ერთურთს თვალებში, ისეთი მონატრებით, როგორც დიდი ხნის წინათ უყურებდნენ ხოლმე“.
ბ) „სიყვარულის იღბლიანობა კი იმით უნდა გამოიხატებოდეს, რომ ამ სიყვარულის შედეგი, სიყვარულით მოვლენილი შვილებია“.
გ) „სიყვარული კი ისეთი ღვთიური გრძნობაა, გინდა შარაგზაზე იდგე და გინდა მიხ-ვეულ-მოხვეულ, ეკლიან ბილიკზე, ამ გრძნობას უიღბლოს ვერ უწოდებ იმიტომ, რომ ის სიყვარულია!“
დ) „ადამიანები იმიტომაც ბერდებიან, რომ სხვა ყველაფერთან ერთად, თანდა-თანობით აკლდებათ სითბო“.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე:

ჭეშმარიტი სიყვარულის ერთგულება ამოუცნობი ტვირთია, რომელსაც ზოგიერთი ადამიანი წუთისოფლის ეკლიან გზაზე ჩუმად ატარებს.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ყურადღებით გაეცანით დავალების პირობას. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ნათლად, მკაფიოდ და დასაბუთებულად, არგუმენტები გაამყარეთ სათანადო მა-გალითებით. მსჯელობა უნდა იყოს ლოგიკურად გამართული და აბზაცებით დანა-წევრებული. შეარჩიეთ შესაბამისი სტილი. დაიცავით სალიტერატურო ენის ნორ-მები. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. ის მონაკვეთები, რომელთა ამოკითხვაც გაძნელდება, შეფასებისას მხედველობაში არ იქნება მიღებული.

გაითვალისწინეთ: ნაშრომი არ გასწორდება, თუ თქვენი მსჯელობა შემოი-ფარგლება ოთხი – ხუთი წინადადებით. ნაშრომი, რომლის მოცულობა არ აღემა-ტება 150 სიტყვას, ენობრივი თვალსაზრისით არ შეფასდება.

ტექსტი II

წაიკითხეთ ზაირა არსენიშვილის მოთხრობა „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევი“:

დედაჩემი 1957 წელს გარდაიცვალა. ანდერძი აუგო და პანაშვიდი გადაუხადა ალავერდის ეპისკოპოსმა, მეუფე დავითმა, ჩვენმა ნათესავმა და ახლობელმა. ჩემი მამიდაშვილების პაპა იყო, მეც პაპად ვთვლიდი და ასეც მივმართავდი. მაშინ საეკლესიო რიტუალებს ხელისუფლება ალმაცერად უყურებდა და არც სრულდებოდა.

მეუფემ მგალობლები მოიყვანა და ის იყო, წესის აგებას უნდა შესდგომოდა, რომ ახალგაზრდა ქალი, ერთ-ერთი სამედიცინო დაწესებულების ექთანი, რომელიც დარბაზის კუთხეში იჯდა, ერთბაშად წამოდგა, ისე ჩაილაპარაკა, რომ ყველას გაეგონა: რელიგიურ რიტუალში მონაწილეობის მიღება მე არ შემიძლიაო, ქუსლების პაკიპუკით გადაჭრა ჩვენი დარბაზი და გავიდა. დედაჩემი პროფესიითაც და პიროვნულადაც პატივსაცემი ადამიანი იყო და მართლა ყველა პატივს სცემდა. ასე იყო მეუფე დავითიც... და ცხადია, მე მოღუშული მზერა გავაყოლე თავხედ ექთანს.

– ვაპატიოთ, გენაცვა, ვაპატიოთ, – მომმართა მეუფემ და მაშინვე შეუდგა წესის აგებას...

გავიდა წლები, თითქმის მთელი მეოცე საუკუნე. ამ ათიოდე წლის წინ ავლაბრიდან მარშრუტკით მოვდიოდი სახლში, ვერაზე. მოგეხსენებათ, ავლაბრის გადასახედიდან გაღმა რამდენიმე ეკლესია მოჩანს. მგზავრებს შორის ზოგიერთები პირჯვარს იწერდნენ, მაგრამ ერთი ქალი, რომელიც სწორედ ჩემ გასწვრივ იჯდა, ისე მკვეთრად და დემონსტრაციულად იქნევდა ხელებს და იწერდა პირჯვარს, თანაც ერთხელ კი არა, თითო ეკლესიის დანახვაზე სამ-სამჯერ, რომ უნებლიეთ მიიქცია ჩემი ყურადღება. იყო რაღაც გროტესკული ამ ქალის ხელების ქნევაში. ამ კარგად შეხნიერებულ ქალში მე ვიცანი ის შორეული ექთანი. მოხდა ისე, რომ ზემელზე ერთად ჩამოვედით. მე გვერდით გამოვყევი და ვუთხარი:

– ეს როგორი რელიგიური გამხდარხართ, რა გამალებით იწერდით პირჯვარს. მახსოვს, ცეცხლმოკიდებულივით დატოვეთ ჩვენი დარბაზი დედაჩემის პანაშვიდის დროს.

მეგონა, იმას მაინც მეტყოდა, დროთა ვითარებაში შეიძლება ადამიანმა შეიცვალოს რწმენაც და შეხედულებაცო, მაგრამ არა, ქალს რაღაც თითქოს სარკასტულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და უცერემონიოდ მითხრა:

– შენ ეტყობა, არ გაგიგია ქართული ანდაზა: „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო“. დაიხსომე, გამოგადგება.

– თქვენ გამოგადგათ?

– გამომადგა, გამომადგა! – ჩქარ-ჩქარა თქვა ქალმა და შებრუნდა...

– აბა, თქვენ იცით, – სიცილით მივაძახე, – მხოლოდ ეცადეთ, ხელი არ მოიტეხოთ პირჯვრის წერაში!

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. საქართველოს ისტორიის რომელ პერიოდში ვითარდება მოქმედება ტექსტის დასაწყისში?

ა) საქართველოს 90-იან წლებში.
ბ) საბჭოთა კავშირის პერიოდში.
გ) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.
დ) მე-20 საუკუნის 37-იან წლებში.

(1) 2. წესის აგების დროს რატომ დატოვა სახლი ნათესავმა ქალმა?

ა) არ მოეწონა, მეუფემ რომ მგალობლები მოიყვანა.
ბ) მიაჩნდა, რომ საეკლესიო რიტუალები მხოლოდ ეკლესიაში უნდა ჩატარებულიყო.
გ) იმ დროს საეკლესიო რიტუალების ჩატარება იკრძალებოდა.
დ) მეუფე დავითს არ სცემდა პატივს.

(1) 3. მეუფე დავითის რომელ თვისებაზე მეტყველებს მისი სიტყვები: „ვაპატიოთ, გენაცვა, ვაპატიოთ“?

ა) გამჭრიახობაზე.
ბ) პრინციპულობაზე.
გ) წინდახედულობაზე.
დ) მიმტევებლობაზე.

(1) 4. რა მხატვრული საშუალებაა გამოყენებული ფრაზაში: „მახსოვს, ცეცხლმოკიდებულივით დატოვეთ ჩვენი დარბაზი დედაჩემის პანაშვიდის დროს“?

ა) შედარება.
ბ) მეტაფორა.
გ) ალეგორია.
დ) გაპიროვნება.

(1) 5. რა აფიქრებინა ავტორს ნათესავი ქალის ქცევამ, როცა ის ეკლესიასთან გავლისას „მკვეთრად და დემონსტრაციულად იქნევდა ხელებს და იწერდა პირჯვარს“?

ა) იფიქრა, რომ ქალი ტაქსიში მყოფი ხალხის დასანახავად იწერდა პირჯვარს.
ბ) ეგონა, რომ ქალი მეუფე დავითის გავლენით გაქრისტიანებულიყო.
გ) იფიქრა, რომ ქალი ცხოვრებას ღვთისმოშიში და ქრისტიანობის მკაცრი დამცველი გაეხადა.
დ) ეგონა, რომ ქალი თანამდებობის პირთა გავლენით გაქრისტიანებულიყო.

(1) 6. სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსვლისას როგორი იყო ნათესავი ქალის რეაქცია ავტორის შენიშვნაზე?

ა) დამცინავი.
ბ) აღშფოთებული.
გ) სითბოთი სავსე.
დ) განრისხებული.

(1) 7. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი მხატვრულ საშუალებებს?

ა) „ექთანი, რომელიც დარბაზის კუთხეში იჯდა, ერთბაშად წამოდგა“.

ბ) „ქალს რაღაც თითქოს სარკასტულმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე“.

გ) „გავიდა წლები, თითქმის მთელი მეოცე საუკუნე“.

დ) „მოგეხსენებათ, ავლაბრის გადასახედიდან გაღმა რამდენიმე ეკლესია მოჩანს“.

(1) 8. ტექსტის ბოლოს როგორ ადამიანად წარმოჩნდება ავტორის ნათესავი ქალი?

ა) ადამიანად, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების მკაცრი დამცველია.

ბ) ადამიანად, რომლის სულში ღრმად არის გამჯდარი ქართული ტრადიციები.

გ) ქრისტიანობისა და ქართული ტრადიციების უარმყოფელ ადამიანად.

დ) ყველა დროსა და სიტუაციას მორგებულ მედროვე ადამიანად.

(1) 9. რაზე მიანიშნებს მთხრობელი ნათესავ ქალს სიტყვებით: „ეცადეთ, ხელი არ მოიტეხოთ პირჯვრის წერაში“?

ა) ეცადეთ, ფანატიზმმა არ დაგიმორჩილოთ.

ბ) ეცადეთ, მოტეხილობის გამო ოპერაცია არ დაგჭირდეთ.

გ) ეცადეთ, ცოდვა არ ჩაიდინოთ.

დ) ეცადეთ, თავმდაბლობამ არ დაგღუპოთ.

(1) 10. რას გულისხმობს ნათესავი ქალი ანდაზით: „ამყოლს აჰყევი და ჩამყოლს ჩაჰყევიო“?

ა) ადამიანმა თავი არ უნდა დაზოგოს ჭეშმარიტი ღირებულებების დასაცავად.

ბ) ადამიანი დროისა და სიტუაციის მიხედვით უნდა მოქმედებდეს, პირადი ინტერესების დაცვით.

გ) ადამიანმა მხოლოდ უფლის რწმენითა და იმედით უნდა იაროს ცხოვრებაში.

დ) ადამიანი თავისი ცხოვრების თანამგზავრს უნდა გაჰყვეს და დაემორჩილოს.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე:

მედროვეობა ნებისმიერი ეპოქის მარადიული სენია, რომლის გავრცელებას ხელს უწყობენ ჭეშმარიტ ღირებულებებს მოკლებული ადამიანები.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი III

თხზულებაში „შუშანიკის წამება“ იაკობ ხუცესი მოგვითხრობს:

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაისა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს: „გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?“ და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას: „უფალო, რაისა ეგრე იქმ, და იტყვ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა, და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვ?“ ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა. და მან ვერღარა იკადრა სიტყუად.

და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიხათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკდურადი, მიერთრია; და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძვი დაეფინა. და თვით ფერხნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ხორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვაი მისი და ცემაი. ბოროტებდა და იტყოდა: „აჰა, ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაი შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, და უფალი იგი მათი!“

და ვითარცა სცეს კუერთხსა სამას ოდენ, არა რაი აღმოხდა პირსა მისსა ვაებაი, არცა კუნესაი. მაშინღა ჰრქუა წმიდამან შუშანიკ ურჩულოსა ვარსქენს: „უბადოო, შენღა თავი თვისი არა შეიწყალე და განსდეგ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალეა?!“ და ვითარცა იხილა დიდძალი იგი სისხლი, რომელ დამოსდიოდა ჩვილთა მათ ხორცთა მისთა, მაშინ უბრძანა დადებაჲ ჯაჭვ ქედსა მისსა. და უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაითა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ და საპყრობილესა ბნელსა შეაყენონ იგი, და მოკუდეს.

დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაი დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაითამცა ჰრქუა, თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაი ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით. მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მხედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა.

და მივიდოდა წმიდისა მის თან ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი, სიმრავლე ურიცხვი, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ხმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იხახდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის. ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიხსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“. და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათა და დედათაი, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მხედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ხიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს: „შენდა ეგდენ ყოფად არს ფერხითა შენითა სლვაი, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხითა გამოგიღონ“.

და ვითარცა შევიდეს ციხედ, პოვეს სახლაკი ერთი ჩრდილოით კერძო, მცირე და ბნელი, და მუნ შეაყენეს წმიდაჲ იგი. და ჯაჭვი იგი, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ედვა, და დაჰ-ბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თვისითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ რქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“ მაშინ დაადგინნა მცუელნი მის ზედა და ამცნო მათ, რაითა სიყმილითა მოკლან იგი.

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. რომელ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიეკუთვნება მოცემული ტექსტი?

ა) რეალიზმს, ბ) ჰიმნოგრაფიას,
გ) მოდერნიზმს, დ) ჰაგიოგრაფიას.

(1) 2. რაზე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ „ხუცესმან ერთმან“, პიტიახშის სისასტიკის მიუხედავად, მაინც უთხრა მას სიმართლე?

ა) ხუცესი გაბედული და ძლიერი პიროვნებაა.
ბ) ხუცესს ეპისკოპოსმა დაავალა, შეკამათებოდა პიტიახშს.
გ) ხუცესმა ამით ეპისკოპოსის წინაშე თავი მოიწონა.
დ) ხუცესებს პიტიახშზე დიდი გავლენა ჰქონდათ.

(1) 3. რას აღნიშნავს ტექსტში სიტყვა „სენაკაპანი“?

ა) პიტიახშის ქვეშევრდომს.
ბ) საწოლი ოთახის მცველს.
გ) სატუსაღოს მცველს.
დ) სენაკში მყოფს.

(1) 4. რომელ ფრაზაში იყენებს ავტორი შედარებას?

ა) „მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაი შუშანიკ უხამური და თმაგარდატევებული“.
ბ) „და მივიდოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაი“.
გ) „საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთვის“.
დ) „ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკდურადი, მიერთრია“.

(1) 5. რა გახდა დიაკვნის სწრაფად გაქცევის მიზეზი შუშანიკის ციხეში გადაყვანის დროს?

ა) შეეშინდა, რადგან შუშანიკის გულშემატკივარი ადამიანების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა.
ბ) ეპისკოპოსისთვის უნდა მოეხსენებინა ახალი ამბავი.
გ) შეეშინდა, რადგან მიხვდა, რომ დაინახა პიტიახშმა.
დ) გადაწყვიტა, შუშანიკსა და ხალხს ციხესთან დახვედროდა.

(1) 6. ვარსქენის რა თვისებები ჩანს ტექსტის ამ მონაკვეთში – „შუშანიკ რქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“

ა) უნდობლობა და ეჭვიანობა.
ბ) სულმდაბლობა და პატივმოყვარეობა.
გ) სისასტიკე და ცინიზმი.
დ) უპრინციპობა და გულგრილობა.

(1) 7. დედოფლის ხასიათის რომელი ნიშან-თვისებებია ხაზგასმული ტექსტში?

ა) სიმტკიცე და შეუდრეკელობა.
ბ) პატივმოყვარეობა და გულგრილობა.
გ) გულისხმიერება და გულწრფელობა.
დ) ემოციურობა და თავმდაბლობა.

(1) 8. რომელ ფრაზაში ჩანს ავტორის დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ?

ა) „აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს“.
ბ) „მაშინ უბრძანა დადებაი ჯაჭვ ქედსა მისსა“.
გ) „და დაჰბეჭდა ურჩულომან ვარსქენ ბეჭდითა თვისითა“.
დ) „უბრძანა სენაკაპანსა ერთსა, რაითა წარიყვანონ წმიდაი შუშანიკ ციხედ“.

(1) 9. რა უწინასწარმეტყველა ციხის კართან მიყვანილ ნაწამებ დედოფალს პიტიახშმა?

ა) ციხიდან მალე გამოვიდოდა.
ბ) ციხიდან ცოცხალი ვეღარ გამოვიდოდა.
გ) ციხეში გაერიდებოდა ამქვეყნიურ სატანჯველს.
დ) მხოლოდ ეპისკოპოსები შეძლებდნენ ციხიდან მის გამოყვანას.

(1) 10. რას გულისხმობს დედოფალი ამ სიტყვებში: „მე ამას მხიარულ ვარ, რაითა აქა ვიტანჯო და მუნ განვისვენო“?

ა) ნებისმიერი ადამიანი იმქვეყნად მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად დაისჯება.
ბ) ძალაუფლებისათვის ბრძოლისას ადამიანზე ძალადობა შეიძლება გამართლებულიც კი იყოს.
გ) ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ადამიანმა მიმტევებლობა უნდა გამოიჩინოს.
დ) სულიერი სიმტკიცით ადამიანი შეძლებს, მიაღწიოს საღვთო ქორწინებას.

(34) დაწერეთ თხზულება თემაზე:

სულიერების გზაზე მდგომი ადამიანისთვის საკუთარი პრინციპების ერთგულება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძალაა ბოროტების დასამარცხებლად.

იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი მოცემულ ტექსტში ეს საკითხი და რამდენად აქტუალურია იგი.

ტექსტი IV

წაიკითხეთ მარიამ წიკლაურის მინიატურა „მესაზღვრე“:

დილაბინდში არჩევს თვალი მოხუცის სილუეტს. მესაზღვრეები უკვე უდურბინდოდაც კარგად ხედავენ მის გალეულ სხეულს, არგანს, ორიოდე ცხვარს. სისხამზე ისე გამოჩნდება, როგორც ხე ჩნდება ნანისლარიდან. მერე ქრება, როგორც ხე ჯანღში.

უკვე ცნობენ და თითქოს იციან, საით წავა, სად გაჩერდება, სად ჩამოჯდება, სად გაწიწკნიან ბალახს იმისი ცხვრები. ფერიც ამ მთებისა და კლდეებისა ადევს. ვერც იტყვი, რა აცვია, რა ახურავს. შორიდან ქვისა გეგონება, იქნება თიხისაც, ან ხისა. ადამიანზე უფრო საგანს ჰგავს, ძველს, ძალიან ძველს, რომელსაც ან დიდი ფასი დასდებია სიძველით ან საერთოდ წართმევია იგი. ქუდიც, მოსასხამი ფლასებიც, ჯღანი ქალმებიც ამ კაცის სხეულის ნაწილებად ჩანს, უცნაური ფორმა რომ მიუღიათ. არგანიც, გუდაც, ცხვარიც კი, ის ორიოდე ცხვარიც კი, თითქოს ძველი თიკვის სამოსის ნაწილად მისთრევს. ფერიც ზამთარში ზამთრისა აქვს, შემოდგომაზე შემოდგომისა, გაზაფხულზაფხულშიაც ეგრე. უყურებენ მესაზღვრეები და ხანდახან იქით გახედვაც ეზარებათ. იციან, აუცილებლად გამოჩნდება. ყველანაირ ამინდში ასე დაიარება. ხან იფიქრებ ცხვრებზეა მიბმული და მათ მოჰყავთო, ხან ქარზე გამობმულს ჰგავს, ხან წვიმაზე. ხანაც ღრუბლის დაბლა მოსიარულე ფთილასავითაა, ფორმას რომ იცვლის და ხევში ჩარჩენილი ნისლის კოტორივით, როდის-როდის, გაუჩინარდება კიდეც.

არავინ იცის მესაზღვრეთაგან მისი სახელი, ვინაა, საიდან მოდის, რომელი სოფლის მკვიდრია. რატომ დაიარება ასე ყოველდღე საზღვართან. ხან მიწას ჩასშტერებია. ხან ცას. მაგრამ რადგან აქ ცა და მიწა ერთმანეთთან ძალიან ახლოსაა და ხან ცა მიწაზეც დაბლაა, თავის აწევაც არა სჭირდება, ისე დგას, როგორც მოხუცებმა იციან ხოლმე, სამზერი საკუთარ სხეულთან ახლოს რომ უდევთ. იქნება და ღმერთსაც ელაპარაკებიან, მაგრამ უკვე მეზობელივით, ახლოსვე, მინდობით, უფორიაქოდ...

ცხვრებიც ასეთი ჰყავს, წიწკნიან და წიწკნიან ბალახს და მათაც ამ მთებისა და კლდეების ფერი ადევთ, არც სუქდებიან, არც ხდებიან... არიან, იმისთვის რომ იყვნენ და გამოჩნდნენ ყოველ ცისმარე. გამოჩნდნენ და მესაზღვრეებს დაენახონ, რომ არიან!

არასდროს გამოლაპარაკებიან ერთმანეთს. მათი ენაც სხვადასხვაა. არაფერს ითხოვს, როგორც ხევსურეთის მდუმარე მთები. ჩაივლის და გაუჩინარდება და ასე ყოველდღე. რაც ჯარისკაცები ქვევით და ქვეით მოიწევენ, მით უფრო მხნედ და ჯიუტად დაიარება ეს მოხუცი აქ. ისიც მესაზღვრეა! ყველა საზღვარს ხომ ორი მხარე აქვს. სიცოცხლისა და სიკვდილის, მარადისობისა და წარმავალის, სიმართლისა და სიცრუის, მშობლიურისა და უცხომხრის, რეალურისა და ირეალურის, ჭეშმარიტის და ამაოის... დაიარება ასე მოხუცი ორიოდე ცხვრით და აფრთხობს მტერს, მეც აქ ვარო, მეც მესაზღვრე ვარ ამ გაუდაბურებული სამოთხისაო...

წაკითხულის გააზრება (10 ქულა)

(1) 1. სად ჩნდება მოხუცი თავისი ცხვრებით ყოველ დილას?

ა) ქართლისა და კახეთის საზღვართან.
ბ) საქართველოსა და რუსეთის საზღვართან.
გ) საქართველოსა და თურქეთის საზღვართან.
დ) კახეთისა და დაღესტნის საზღვართან.

(1) 2. რას ნიშნავს სიტყვა „არგანი“ ფრაზაში: „კარგად ხედავენ მის კაფანდარა სხეულს, არგანს, ორიოდე ცხვარს“?

ა) ადგილს.
ბ) ქუდს.
გ) ჯოხს.
დ) ჩანთას.

(1) 3. მოხუცის რა თვისებებია ხაზგასმული ტექსტში?

ა) თავმდაბლობა და თავაზიანობა.
ბ) სიკეთე და უანგარობა.
გ) ერთგულება და თავდადება.
დ) პატიოსნება და გულწრფელობა.

(1) 4. რომელ ფრაზაშია გამოყენებული მხატვრული საშუალება?

ა) „ცხვრებიც ასეთი ჰყავს, წიწკნიან და წიწკნიან ბალახს“.
ბ) „შორიდან ქვისა გეგონება, იქნება თიხისაც ან ხისა“.
გ) „უყურებენ მესაზღვრეები და ხანდახან იქით გახედვაც ეზარებათ“.
დ) „არასდროს გამოლაპარაკებიან ერთმანეთს“.

(1) 5. „რატომ დაიარება ასე ყოველდღე საზღვართან“ მოხუცი?

ა) აჩვენოს მტერს, რომ ეს მისი სამშობლოა და რომ ისიც თავისი ქვეყნის მესაზღვრეა.
ბ) მოხუცს დავალებული აქვს, თვალყური ადევნოს მესაზღვრეებს.
გ) ყოველ დილას შეამოწმოს, კიდევ ხომ არ გადმოუწევიათ საზღვარი.
დ) საზღვართან კარგი საძოვრებია და ცხვრები უნდა აძოვოს.

(1) 6. რას ითხოვს მოხუცი მესაზღვრეებისგან?

ა) დახმარებას ითხოვს.
ბ) მავთულხლართების გადაწევას ითხოვს.
გ) არაფერს ითხოვს.
დ) მოლაპარაკებას ითხოვს.